წერილის ნომერი: **67-01181553468**
თარიღი: **04.06.2018**

ადრესატი:
სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 06-01181162246-67 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ინფორმაციას ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე საპრივატიზებო მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.02.19.715) მეწყერსაშიში ქანების ზონის ფარგლებში მდებარეობაზე; პასუხად გაცნობებთ, რომ „სითი ინსტიტუტი საქართველო; გარემოსდაცვითი არასამთავრობო ქსელი CENN“-წყაროს მიერ მოწოდებლი გეოსაფრთხეების ზონირების რუკაზე დაყრდნობით, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 81.02.19.715) მდებარეობს საშუალო კატეგორიის საშიშროების მქონე არეალში, სადაც რელიეფი ნაკლებად დახრილია და სუსტადაა დანაწევრებული, ამგები გრუნტები სხვადასხვა მზიდი თვისებებით გამოირჩევიან (მათ შორის ნაყარი გრუნტები), მიწისქვეშა წყლები შედარებით ახლოსაა ზედაპირთან, დატბორვებს იშვიათად აქვს ადგილი და სტიქიური პროცესები მასშტაბურ ხასიათს არ ატარებენ. ტერიტორიის ჩრდილოეთით მცირე ნაწილზე ასევე ვრცელდება მაღალი კატეგორიის საშიშროების მქონე არეალი, სადაც რელიეფი დახრილია (20*-ზე მეტი) და ძლიერ დანაწევრებული, ამგები გრუნტები სხვადასხვა მზიდი თვისებებით გამოირჩევიან და ქანების წოლის ელემენტები ძირითადად თანხვედრილია ფერდობების დახრილობის მიმართულებებთან, წყალსადინარების ჭალა-კალაპოტის (მათ შორის დატბორვის) ზონები და გამოირჩევიან სტიქიური პროცესების მასშტაბური განვითარებით.

დამატებით განგიმარტავთ, რომ აღნიშნული მონაცემები დამუშავებული 50 000 იან მასშტაბში, რაც გულისხმობს ცდომილების მაღალი ალბათობას, რის გამოც საჭიროა უფრო დეტალური გეოლოგიური კვლევების ჩატარება.

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

რუსუდან მირზიკაშვილი